ოთხშაბათი, 3 მარტი 1904 წ. 1877 წლიწადი ოც-დაშვიდი 1904 ოთხშაბათი, 3 მარტი 1904 წ.

# ივერია

№ 56 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 56

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 8 მან. 75 კაპ.

---

ამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა, ავტორის სურათით და წინასიტყვაობით, თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აჰიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ენახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასა სამოხის ძე მომცელიძე.**

---

## რედაქციისაგან

ჩვენ მოგვივიდა რამდენისაგანმე საჩივარი, რომ „ლალატი“, პრემია „ივერიისა“, არ მოგვივიდაო. რედაქციამ-კი ყველას, ვისაც ჯერ იყო, გაუგზავნა. ვთხოვთ იმათ, ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, მოიკითხოს ფოსტის მახლობელ კანტორაში. საჭირო იქნება მხოლოდ რამდენისამე კაპიკის დამატება ფოსტის სასარგებლოდ.

---

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

,,ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ ,,ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ-დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

---

იმპერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავსმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობა-მოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი ლევ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10—3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

(30—6.—6).

---

**სადიდმარხვო სეზონი**

წარმ. № 3 ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

კვირას, 7 მარტს 1904 წელს, ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ, წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა**

## ცხოვრების გარედ

თანამედროვე სურათები 4 მოქ. პროტოპოპოვისა თარგ. იასე შველიძის მიერ.

ამ პიესამ რუსეთში, წლევანდელს სეზონში, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგალეთელი, მ. მდივანი, ნ. რონელი, ჯავახიშვილი, როსტომაშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გედევანოვი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი შტოკმანი“ და «სხვის ნათხარზედ».

ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის

## ქალთა კომიტეტი,

რომელიც ამზადებს ნივთებს ბრძოლის ველზედ მყოფ ქსენონთა და საავადმყოფოთათვის, სთხოვს იმ ქალებს, რომლებმაც სურვილი გამოაცხადეს მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის შრომაში, მობრძანდნენ კომიტეტის კრებაზედ ოთხშაბათს, 3 მარტს, $1^1/_2$ საათზედ, კნ. ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა). (2—6.—1)

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**კვირას, 7 მარტს 1904 წელს,**

არტისტის ბარიტონის ა. მ. ბრაგინის სადებიუტოდ, საიმპერატორო თეატრის არტისტების მ. ა. დუბროვსკაიასა და დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

## დემონი

ოპერა 3 მოქ. და 7 სურ. აპოთეოზით, მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დუბროვსკაია, როდიონოვისა, ლელინასი; ბ-ნნი: კარჟავინი, ილიუშენკო, ბრაგინი, ბუხტოიაროვი, გავრილოვი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ა. პ. ასლანოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ორშაბათს, 8 მარტს, ქ-ნის ო. ა. შულგინას სადებიუტოდ, საიმპერატ. თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა და არტისტის ა. მ. ბრაგინის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება „პიკოვაია დამა“, ოპერა 3 მოქ. და 7 სურათ., მუს. ჩაიკოვსკისა. სამშაბათს, 9 მარტს, წარმოდგენილი იქნება «მინიონი», ოპერა 4 მოქ., მუსიკა ტომასი.

ადგილების ფასი გამოცხადებულს წარმოდგენებზე ჩვეულებრივია.

დიდმარხვის მეხუთე კვირაში ბენეფისი იქნება საიმპ. თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, ხოლო მეექვსე კვირაში-კი—მისის უდიდებ. სოლ. ნ. ნ. ფიგნერისა და არტისტის ო. ი. კამიონსკისა.

ბენეფისებში ფასები მომატებულია, გარდა ქანდარისა და ბალკონისა.

ბილეთები იყიდება.

---

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანეთი.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

ექიმი

## პ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**პ. ი. ჩიჩინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ვ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**პ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მოჩინი.** ქალის., სახებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვების- და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საზებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ვ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**მ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არჩვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონიის ჯარის სარდლები.—იაპონელთა ჯარი.—რუსეთის ახალი გემები.—ხორცის კონსერვები.—ჯარის მოძრაობა.—სად მოხდება ომი?—წვრილი ამბავი.—რეფლექტორი.

ერთი გერმანელი აფიცერი, რომელიც იაპონიაში კარგა ხანს ყოფილა და იქაურ ჯარს ევროპიულად აწყობდა, ასე ახასიათებს იაპონიის გამოჩენილ გენერლებს:

სამხედრო მინისტრი ტერაუჩი, ზღვათა მინისტრი ადმირალი იამა-ტოგო და ფლოტის მთავარ-სარდალი ადმირალი იტოიუკო, დიდის ნიჭის პატრონნი არიან, როგორც სარდლები, ჯარის გამწყობნი და ადმინისტრატორები. სამთავენი დაუღალავად მუშაობენ და მტკიცედ ადგანან თავისს საქმეს, რაც საერთოდ იაპონელების ხასიათის თვისებაა.

სამხედრო მინისტრს ენერგიული ამხანაგი ჰყავდა, რომლის შრომასაც უნდა მიეწეროს უკანასკნელ მობილიზაციის სასურველი შედეგი; ეს არის გენერალი იშიმოტო.

უმთავრეს შტაბის უფროსი მარშალი ოიამა, რომელმაც თავი ისახელა ჩინეთ-იაპონიის ომში, ეხლა მხცოვანი მოხუცია. იმას ჰყავდა მხნე თანაშემწე, გენერალი ტამურა, რომლის მოულოდნელმა სიკვდილმაც მთელი ქვეყანა დაამწუხარა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის მალე ღირსეულად დაიჭერდა შინაგან საქმეთა მინისტრის გენერალ კოდამას ადგილს. პატრიოტიზმით გატაცებულმა გენერალმა უდიდესს თანამდებობას თავი დაანება და დაბალი ადგილი მიიღო მეომართა შორის. ის განმგებლობდა საქმეს ომის დაწყების დროს. თუმცა მოსაწონი არ არის იაპონელების საქციელი და ის ღონისძიება, რომელსაც იაპონელებმა მიჰმართეს პირველადვე, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი მოხერხება და საქმის იმგვარად მოწყობა, რომ მათი მოქმედება საიდუმლოდ დარჩეს. ამ შემთხვევაში გენერალ კოდამას დიდი ღვაწლი მიუძღვის. («ნოვოსტი»).

—

ამ ჟამად იაპონიის ჯარი, შედარებით რომ ვსთქვათ, შეიარაღებულ ხალხს წარმოადგენს. სამხედრო ბეგარაში ახალგაზდა ვაჟკაცები გაჰყავთ 3 წლის ვადით, შემდეგ 4 წელიწადი სათადარიგო ჯარში ითვლება და ბოლოს 5 წელიწადი—მთელის ქვეყნის სადარაჯო ჯარში. ყველა იაპონელი, 17—40 წლისა, საერო რაზმებში ითვლება და მოვალეა, იარაღი აისხას, თუ რომ სახელმწიფოს რაიმე განსაცდელი მოელის. როგორცა სჩანს, იაპონიის ჯარი იმგვარადვე არის გაწყობილი, როგორც ევროპიელ სახელმწიფოებისა, სადაც ბეგარას ეწევა პირადად ყველა წოდების კაცი. (იქვე).

—

როგორც «ოდ. ნ.» იუწყება, ამ ჟამად ნიკოლაევის გემთა ამგებ ქარხანაში თავდება შეიარაღება სამის მსწრაფლ-მავალ ნაღმიან გემისა. იქვე მზადდება მსწრაფლ მავალი კრეისერი «კაგულ», რომლის მანქანებიც 3,000,000 მანეთი ჯდება, გარდა

იარაღისა. მზადდება აგრეთვე მანქანები ორის ჯავშნიან გემისა, რომლების კონსტრუქცია «პოტიომკინ-თავრიზელს» წააგავს. («ნ. ვ.»).

—

ხორცის კონსერვების გაკეთება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარისათვის,—«მოსკ. უწყ.» სიტყვით, არ არის რიგიანად მოწყობილი. პროფესორი კულეშოვი ამბობს, პეტერბურგის ქარხნების გაკეთებული კონსერვები, რომელიც რუსეთის ინდენდანტსტვომ შეუკვეთა, ცუდი გამოდგაო და ურჩევს, როგორ უნდა მოამზადონ, რომ კარგადაც ინახებოდეს და იაფადაც დაჯდეს. რუსეთში ღორის ხორცი იაფი არის და კონსერვების გაკეთება რომ იცოდნენ, მაშინ ამერიკაში დაკვეთა აღარ დაგვჭირდება. ამსთანავე, საეჭვოა, დაუბრკოლებლივ მივიღებთ იქიდგან კონსერვებს ომის დროს თუ არაო.

—

ომის დროს ჯარის გადაყვან-გადმოყვანა საიდუმლოებით უნდა იყოს მოცული, რომ მოპირდაპირემ არ იცოდეს მტრის სუსტი ადგილი და იქით არ მიაყაროს თავისი ჯარი. სწორედ ამიტომ ძალიან მცირე და არეული ამბები მოდის იაპონელთა ჯარის მოძრაობის შესახებ; ნამდვილად არავინ იცის, სად გადაჰყავს თავისი ჯარი და სად აგროვებს.

სამხედრო მეცნიერება ამბობსო,—სწერს «ნოვოსტი»,—რომ გამარჯვება იმას დარჩება, ვინც ჩქარა და შეუმჩნევლად გადაიყვანს თავისს ჯარს ომის ველზე. ამ მხრივ იაპონელებს გარემოება ხელს უწყობსო. რადგან იაპონია კუნძულებზეა, ჯარის გადაყვანა ზღვით არ უნდა გაუჭირდეს და სადაც გადასხამს თავისს ჯარს, ვერავინ გაედევნება და ვერას გაუგებს. იაპონელები თითქმის შინ არიან, ომის ველი იქვე აქვთ. იაპონიის კუნძულებიდან ნავთსადგურამდე ჯარს რკინის გზები გადაიყვანს და იქიდან ხომ გემების გასტუმრება ძნელი არ არის. იაპონიას შეუძლიან თავის სატრანსპორტო ფლოტით ერთხანად სამი დივიზია წაიყვანოს კუნძულებიდან კორეისაკენ, ე. ი. 50,000 კაცი თავის სურსათითა და ბარგით. ამრიგად, 8 კვირის განმავლობაში თითქმის მთლად თავისს ლაშქარს, 11—12 დივიზიას, ადვილად გადაიყვანს და, თუ საჭიროება მოითხოვს, თან სამხედრო გემებს მიაყოლებს.

რუსეთის უმთავრესი ნაწილი კი ომის ველზე ძალიან დაშორებულია. ჯარების გადასაყვანად მხოლოდ ერთი რკინის გზაა ერთის ლიანდაგით. ჯარის გადაყვანა ომის [illegible] ძალიან, როდესაც დრო ოქროზედ ძვირია. ვიდრე ჩვენი ჯარი თავს მოიყრიდეს, მტრისა უკვე იქ იქმნება.

—

ბერლინის გაზეთები ჰფიქრობენ, რომ რუსეთმა შეიგნო, რამდენად მაზარალებელი იქნება მათთვის იაპონელების წინსვლა პორტ-არტურიდგან მდინარე იალუს სათავისაკენ, და გადასწყვიტეს, მოგერების მაგიერ, წინ წასწიონ თავისი ჯარი სამხრეთით, სადაც მდინარე ტუმენი ზღვას ერთვის. მართლაც, რუსის საჯაშუშო რაზმი კენგშენში უკვე მისულა; აქედგან პლაქსინის ნავთ-სადგური შორს აღარ არის, სადაც იაპონელებს გადაუსხამთ თვისი ჯარი. ვინც ორთავ ჯარის მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებს და ვისაც ადგილის ვითარება შესწავლილი აქვს, იმ აზრისაა, რომ დიდი ომი კორეის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდებაო. («რ. ვ.»).

—

ტოკიოდგან ბერლინის გაზეთებს ატყობინებენ, რომ იქაურ ზემო პალატის წევრთ გამოუცხადებიათ, ვიდრე ომი არ გათავდება ჯამაგარი ნულარ მოგვეცემაო. (იქვე).

—

ნაგასაკიდგან «დ. მ»-ს ატყობინებენ, ვითომც იაპონელებმა 2,000 ბოჭკა დამარილებული ხორცი დაიჭირეს, რომელიც სან-ფრანცისკოდგან გემ «კოტიკ»-ს რუსეთის ჯარისთვის მიჰქონდაო. (იქვე).

—

ამერიკის შეერთებულ შტატების სენატი სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შესდგომია და ფლოტის შესახებ შემდეგი აზრი წარმოუთქვამს სენატორებს:

სენატორს დეპიუს უთქვამს: შეერთებულ შტატებს ძლიერი ფლოტი უნდა ჰყავდეს, რომ შორეულ აღმოსავლეთში თავის ინტერესების დაცვა შეეძლოსო.

სენატორმა ნელსონმა სთქვა: შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და იაპონიას ერთგვარი ინტერესები აქვთ შორეულს აღმოსავლეთში რუსეთის წინააღმდეგაო.

სენატორმა კლეიმ განაცხადა: საჭიროდ არა ვხედავ ფლოტი გავაძლიეროთ, რადგან ჩვენ არავისი რიდი არა გვაქვსო და არცა მჯერა, რომ ომში ჩარევა დაგვჭირდესო. უცხო სახელმწიფოთა ურთიერთ განხეთქილებას სწორედ ძლიერი ფლოტი უწყობს ხელს, რომლის აფიცრებიც პირადის ამაყობითა და ჯილდოს იმედით მოუთმენლად ელიან, როდის იქნება, ომი ატყდესო.

### რეფლექტორი.

იაპონელები რომ აპირებდნენ პორტ-არტურის შესავალში უვარგის გემების ჩაღუპვას და ამით შესავლის ჩაკეტვას, რომ დიდი გემები ზღვაზე ველარ გამოსულიყვნენ, ეს განზრახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში იმის გამო, სხვათა შორის, რომ «რეტვიზანს» თავისი რეფლექტორებითაც მოუგერებია მტერი.

გენახვებათ, უბრალო ლამფებს უკანიდგან ან სარკე ან ბრჭყვიალა თუნუქა რომ აქვს დაყოლებული, ან კიდევ ზევიდგან შუა ამოჭრილ [illegible] არის დაფარებული, რომ ლამფამ უფრო გაანათოსო, ანუ თავისი სინათლე ერთს ადგილას მიაპყროს,—აი რეფლექტორი ამასა ჰქვიან.

რეფლექტორები სხვა-და სხვა გვარია და დიდს გემებზე მართლა რომ საოცრად ანათებს.

მერე რაო—იკითხავს ზოგი,—ამით მტერი მოიგერებაო? სახლში რომ ქურდი შემოგეპაროს და შენ სანთელი აუნთო, ბნელაში ფეხი არას წამოჰკრა და კისერი არ მოიმტვრიოვო, ამით განა მტერს შეაშინებო? დიაღ, შეაშინებ კი არა, სინათლე ისეთი იარაღია, რომ მტერს დააბრმავებ კიდეც. «რეტვიზანი» სწორედ ასე მოქცეულა: დიდის მოხერხებითა და მეცადინეობით მოუკრებია ელექტრონის სინათლე და მტრის გემისთვის მიუპყრია. იაპონელებს თავგზა არევიათ, ველარაფერი დაუნახავთ, ველარ გაუგიათ, მტერი საით არისო და ამასობაში პორტ-არტურიდგან ზარბაზნები დაუშენიათ. იაპონელებმა ძალა-უნებურად ამოიძუეს კუდი და უკან წავიდნენ.

ვისაც არ უნახავს ასეთი რეფლექტორი, ვერ წარმოიდგენს, რა საოცარი რამ არის. გაზეთ «ნოვოსტის» ერთი თანამშრომელი ამბობს, ორის წლის წინად ვნახე ერთი რეფლექტორი და აქამომდე გასაოცრადა მრჩებაო. ეს ამბავი სევასტოპოლში ყოფილა. ნავთსადგურს გარედ დიდი აღლუმი იყო. საღამოს დიდი ჯავშნიანი გემები უკან მოდიოდნენ. მე სხვებთან ერთად წყლის პირს ბულვარზე დავსეირნობდი. ღამე მეტად ბნელი იყო. ვნახოთ, ნავთსადგურის შესავალთან სხვებმა იწყეს თამაში, ხან აქეთ, ხან იქით, და მთელი ნავთსადგურის შესავალი და ზღვა ისე განათდა, თითქო მზიანი დღე არისო. საოცარი ჩირაღდანი იყო. მოულოდნელად ერთი სხივი ჩვენც დაგვეცა და ერთბაშად დაგვაბრმავა. ორი-სამის წუთის განმავლობაში ველარა გავარჩიე-რა. მაშინაც-კი, სხივი რომ მოგვშორებიყო, ჩვენ დავფრატუნებდით და ერთმანერთს ვეჯახებოდით, არ ვიცოდით, როგორ გვეშველა თავისთვის.

რამდენჯერმე ზედი-ზედ ასეთი სხივები რომ მიაპყრათ და ერთბაშადვე მოაშოროთ ადამიანს, მართლა ისე დააბრმავებთ და თავგზას აურევთ კაცს, რომ დიდხანს გონს ველარ მოვა.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

*** ახალგაზდა მსახიობთა ამხანაგობის მიერ 9 მარტს წარმოდგენილი იქმნება გუცკოვის ტრაგედია «ურიელ აკოსტა». ამ წარმოდგენისთვის ქუთაისიდგან მოწვეულია ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

*** გუშინ-წინ, საღამოთი, პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე, ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე.

*** პირველ მარტს სიონის საკათედრო ტაძარსა და სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად პანაშვიდები გადაიხადეს.

*** აზრადა აქვთ, ცხენის რკინის გზა გაიყვანონ დიდუბეში; ამ გზამ უსათუოდ უნდა გაიაროს მუშტაიდზე. ბელგიის უსახელო საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ მან ნება დაევრთოს მუშტაიდში ცხენის რკინის გზის გაყვანისაო.

*** როგორც სასანიტარო-სამკურნალო გამგეობის ცნობათაგან სჩანს, ქალაქ ტფილისში გასულის თვის განმავლობაში 97 ადამიანი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდები სენით. ყველაზედ ძალიან ყელჭირვება და ხუნაგი ყოფილა გავრცელებული

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამას წინად ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცი ბელგიის უსახელო საზოგადოებას, რომ საელექტრონო სადგურისთვის საჭირო მასალა საზღვარ-გარეთიდან უბაჟოდ შემოიტანოსო. ეს შუამდგომლობა სამინისტროს არ შეუწყნარებია.

*** საარტისტო საზოგადოების დარბაზში გუშინიდან დაიწყო ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა. გამოფენაზედ მკურნალნი იქმნებიან, რომელნიც აუხსნიან ხალხს კოლო-ბაცილების მნიშვნელობას. ამ დღებში ამავე გამოფენაზე წაკითხულ იქმნება ლექციები ჭლექის წინააღმდეგ. ლექციებს სხვა-და-სხვა გამოცდილნი მკურნალნი წაიკითხავენ.

*** კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის ფულიდან 600 მანეთი იქმნა გადადებული რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის.

*** შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად მთავრობას თავ. ს. დ. წერეთელი დაუმტკიცებია.

*** ხვალ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია სიღნაღში მიდის. სადაც 22 მარტამდე დარჩება.

*** ტფილისის ქალაქის საფინანსო კომისიამ თავისს უკანასკნელ კრებაზედ განიხილა სასწავლებელთა გამგე-კომისიის წინადადება ქალაქში ორ ახალ პირველ დაწყებით სკოლების დაარსების შესახებ. სასწავლებელთა გამგე-კომისიის აზრით, საჭირო იყო ტფილისში ახლავ დაარსებულიყო ორი სკოლა და შემდეგ ყოველ წლივ მომატებოდა ორ-ორი სკოლა. ამ აზრს პრინციპიალურად საფინანსო კომისიაც დაეთანხმა, მაგრამ, შეუძლებლობისა გამო, ამ აზრის განხორციელება სხვა დროისთვის გადასდო.

*** გორისა და დუშეთის მაზრაში მცხოვრებთა შორის ყვავილი იმდენად შემცირებულა, რომ სასანიტარო-სამკურნალო გამგეობამ საჭიროდ დაინახა ფერშალთა რიცხვი, რომელიც ამას წინად გააძლიერა, ამ ჟამად შეამციროს. დარჩება მხოლოდ რამდენიმე ფერშალი.

*** როგორც გადმოგვცეს, ტფილისში არსდება ამხანაგობა, რომლის აზრიცაა ბაზარი მოუპოვოს ჩვენებურ მატყლეულობას საზღვარ-გარედ. წინადაც ჰქონიათ განზრახვა ასეთი ამხანაგობა შეედგინათ, მაგრამ აზრი ვერ განუხორციელებიათ. ვისურვებთ, რომ მეორეჯერაც განუხორციელებელი არ დარჩენოდეთ თავიანთი აზრი.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მასალა მთლად მიიღო საზღვარ-გარეთიდან და ამ დღეებში შეუდგება ცხენის რკინის გზაზე ახალ ლიანდაგის დაგებას.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამ დღეებში შეუდგება თელავისა და სიღნაღის მაზრაში ვაზის წამლის და იარაღების საწყობის გამართვას.

*** ქალაქის გამგეობას კიდევ ექნება ამ დღეებში კრება საელექტრონო სადგურისათვის ადგილის შეძენის შესახებ. ისეთი კაცები, რომელთაც სურთ თავიანთი მამული მიჰყიდონ ქალაქს ამ საქმისთვის, ბევრნი არიან. ზოგი მათგანის ადგილი ქალაქის გამგეობის მიერ არჩეულმა კომისიამ დაიწუნა.

*** ტფილისის მეპურეების თხოვნას, რომელნიც შუამდგომლობენ პურზე ნიხრს მოუმატეთო, ქალაქის გამგეობა იმ კვირია განიხილავს.

*** როგორც ნამდვილად ვიცით, სოფ. ქვემო-ჭალაში დაარსებული ო. ნ. ალექსი-მესხიშვილის მიერ სამკითხველო წიგნთსაცავი-კი არაა, არამედ ფასიანია სამკითხველოა.

### სამეცნიერო წერილები

(უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევანი ჭლექის შესახებ)

არა ერთხელ გვქონია ბაასი იმის შესახებ, თუ რა საშინლად მძვინვარებს ჭლექი მთელ დედამიწის ზურგზედ და როგორ მუსრს ადენს კაცობრიობას. მრავალ სხვა-და-სხვა მეცნიერულ გამოკვლევიდგან სჩანს, რომ ყოველ ორმოცდაათ კაცზედ თითქმის ერთი ჭლექით ავადმყოფი ითვლება.

მთელს რუსეთში ჭლექით ავადმყოფთა რიცხვი ორ მილიონ ნახევრამდე ადის. ეხლა რომ ჭლექით გარდაცვალებულთა რიცხვს მივაქციოთ ყურადღება, სწორედ განცვიფრებაში მოვალთ: ევროპაში ყოველ წლივ ერთ მილიონამდე კაცი იხოცება ამ სენით. სამწუხარო კიდევ ის უფროა, რომ ამ სენით იწამლება ახალგაზდა და ძალით სავსე სხეული და რამდენისამე წლის ტანჯვის შემდეგ ესალმება წუთი-სოფელს. ვინ მოსთვლის, რამდენი ნიჭიერი და გამოსადეგი წევრი დაუკარგავს საზოგადოებას ამ სენის წყალობით! მეცნიერნი-ექიმნი სულ მუდამ იმის ცდაში არიან, რომ მოუგონონ ამ საშინელ სენს რაიმე წამალი და ამ გვარად აღმოუჩინონ კაცობრიობას შვება და დახსნა ამ სენისაგან. მაგრამ ჯერ-ჯერობით-კი ამაოა ყოველივე ცდა, თუმცა-კი გვრწამს მეცნიერების ძალა, რომელიც, ადრე თუ გვიან, დასთრგუნის ამ საშინელ სენსაც.

ეხლახან გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ბერინგმა, იმ ბერინგმა, რომელმაც ხუნაგის აცრა მოიგონა, ერთ სამეცნიერო კრებაზედ წაიკითხა თავისი უკანასკნელი ცდა და მოსაზრებანი ჭლექის შესახებ. ამ მეცნიერმა თავისი მოხსენება დაიწყო ციურიხის მეცნიერის Naegeli-ს გამოკვლევით, რომლისგანაც სჩანს, რომ ამ მეცნიერს თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის დროს ერთხელაც არ გაუჭრია არც ერთის გარდაცვალებულის გვამი ოცდაათის წლის უხნესი, რომ მისს სხეულში ჭლექის ნიშნები არ აღმოეჩინოს—რომ სადმე რომელსამე ორგანოში ჭლექის ბაცილების შხამის კვალი არ შეემჩნიოს. ესვე აღმოუჩენიათ ზოგიერთ სხვა მეცნიერთ:

მკითხველს ამგვარი აღმოჩენა გააოცებს, შეიძლება მოგონილ ამბავადაც მიიღოს! სჩანს, რომ იშვიათი ყოფილა ისეთი ადამიანი, რომლის სხეულიც სრულებით

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

***

(ვუძღვნი ევტიხი ჩხატარაიშვილს).

მითხარ, ცხოვრებავ, მატყუარავ და საზიზღარო!
რის რწმენა არის და იმედი—მიგვიხარიან...
სად არს ადგილი საოცნებო და სანეტარო?!!
სად არს ედემი, სად ყველანი ერთნი არიან?..
მარქვი, უწყალოვ! გიწვევ ბრძოლად მოსისხლე მტერი...
რად დამიწყნარდი, მართალია რწმენა, იმედი?
თუ მართალია, ტანჯულთ ზურგზე რიღასთვის მღერი?!
თუ გაცხრომა გრწამს, რად არა გრწამს—გიმუხთლებს ბედი...
რად არ დაცხრები, აზვირთებულს რომ ისვრი ტალღებს?
თუ აღარ გეყო მსხვერპლი ცეცხლად ცრემლისა მღვრელი.
ნუ თუ არ იცი, რომ შავს ტალღებს ცრემლის ტბა დასძლევს?
ცრემლი კაცთ ჭირთა წყარო არის წარსადინელი...
თვალთ არ გიჩანა, მატყუარავ, შავო და ბნელო!
შენ, ბნელს რად გინდა მოციმციმე ცისკრის ნათელი...
დაჰღვარე სისხლი შვილთა შენთა, სისხლი მტარვალო,
რომ შიგ ნაწრთობმა შვილის-შვილმა გამოგჭრა ყელი...
სად არს ადგილი საოცნებო და სანეტარო?
სად არს ედემი, სად ყველანი ერთნი არიან...
მარქვი, ცხოვრებავ, მატყუარავ და საზიზღარო:
რა რწმენა არის და იმედი—მიგვიხარიან?!.

ცალხელი.

### ს ა დ ღ ე ი ს ო დ.

კაი ხანია, ვისაც ჩვენი ერის დამცირების სადღეღელი აშლიათ, გაიძახიან სვანები და მეგრელები სულ სხვა-და სხვა ენას ლაპარაკობენ, ქართულში გარჩეულს, ამიტომ ქართული ენა უნდა გამოიდევნოს მათი ეკლესიებიდან და სკოლებიდან და მის მაგიერ ადგილობრივის ენით, ე. ი. სვანურად და მეგრულად, უნდა სწარმოებდეს წირვა-ლოცვა და სწავლებაო.

ასეთი ახირებული მსჯელობა, ვითომდა კაცთ-მოყვარეობის გრძნობისაგან გამოწვეული, გაისმის მას აქეთ, რაც ჩვენს ქვეყანას მოევლინა ახალი პუბლიცისტი მამა ვოსტორგოვი*).

სვანთა და მეგრელთა მისწრაფება მეტად მარტივია, მათა ჰსურთ, ღმერთს ევედრონ ისე, როგორც ევედრებოდნენ მათი წინაპრები, ე. ი. ქართულად, და მათმა შვილებმაც ესევე ენა, ე. ი. ქართული, ისწავლონ სახელმწიფო რუსულთან ერთად, როგორც საერო დედა-ენა. მაგრამ იმ დროსვე ხსენებულ თემთა ასეთი სურვილი არა თუ ერთ ერობრივ, სარწმუნოებრივ და ისტორიულ, არამედ ეკონომიურ ნიადაგზედაც არის აღმოცენებული.

სვანეთი და ეგრისი ანუ ოდიში, ქვეყნის სახელებია და არა მისი მცხოვრებლებისა, რომელნიც წარმომადგენელნი არიან ძველადვე ქართუს (მეგრულ. ქორთუ) ტომისა. როგორც მოგეხსენებათ, ქართუ იყო წინაპარი სრულიად ქართველთა ერისა და დღეს ამის გამო ვეძახით ჩვენს თავს ქართველსა. სვანეთის მკვიდრს ეწოდება სვანი და ეგრისისას—ეგრელი, რომელიც თავს დაირთავს მ-ანსაც, რაკი ხმოვანით იწყება და გამოითქმის მეგრელად. მარგალი იგივ მეგრელია, ასე რომ მეგრული გამოთქმა მარგალი კოჩი იგივ მეგრელი კაცია. ეგრისის ქართუს ძველად ეწოდებოდა და დღესაც მის ერთ ნაწილს ეწოდება ჭანი, რაიცა იყო, ასე ვთქვათ, ეგრისის ქართუს მეტი სახელი, რომელიც ბოლოს ქვეყანაზედაც გადვიდა ჭანეთის სახით და ნიშნავს ცხენსა. თუ რად გვიწოდებია ჩვენი მოძმეებისთვის ჭანი (იგივე ჭენია, საიდანაც ჭენება, ცხენის ჩქარა წაყვანა), არ უნდა გვიკვირდეს, რადგანაც ასეთი ჩვეულება ხალხებს ჰქონდათ და დღესაც აქვთ: რომაელები ფრანგს ეძახდნენ გალლუს, რაიცა ნიშნავს მამალს, სპარსელები გვეძახიან გურგ, რაიცა ნიშნავს მგელს. ჭანეთის (ეგრისიანად) მკვიდრი თემი რომ ქართუ იყო, იქიდგანაც ჰსჩანს, რომ ძველად ბერძნები ამ ქვეყანას ქალდის უწოდებდნენ და მათისავე მოწმობით ტრაპიზონი, რომელიც ეხლა ჭანეთის ქალაქია, ძველად ქალდის სოფელი იყო. ჩვენებური ქართუ და ძველი ბერძნული კარდუ და ქალდი, ხმათაცვლის კანონით (ქ=კ; რ=ლ; თ=დ), ერთი და იგივე სახელია ერთისა და იმავე ქალდის ერისა, რომელიც ურარტუ, ე. ი. ურის მცხოვრებთა, ლურსმულ წარწერებშია მოხსენებული და რომელიც ჩვენი წინაპარი ყოფილა, რაიცა მტკიცდება ამ ლურსმულ წარწერათა ენისა და ქართულის ნათესაობით და კიდევ იმითაც, რომ სომხები დღესაც ჩვენ გვეძახიან ვრ-ს, ხოლო ჩვენს ქვეყანას—ურასტანს, (ვრასტანს; უ=ვ).

ქართუს (ქართლის) თემთა ერთს ერობას მათივე ენა ამტკიცებს. ამ ერთობის შესაგნებლად საჭირო როდია ფილოლოგია და ენის მეცნიერება. ყოველმა ქართველმა იცის, თუ ადგილობრივ უცხოვრია და ეცოდინება, თუ იცხოვრა, რომ სვანური, მეგრული (იგულისხმე ჭანურიც) და ქართული ერთი ენაა. გონებას უნდა იბრმავებდეს, თუ გინდ ქართველიც, ამ შემთხვევაში სვანი და მეგრელი, თუ ამბობს სვანური და მეგრული სხვა-და-სხვა ენებია და ქართული კიდევ სხვაო და აჰყოლია მათ, ვინც ქართუს (ქართლის) თემთა ერობის ერთობას მოსპობას უქადის და ჰსწადია მისის დანაწილებით, დამცირებით თავის თავს შეჰმატოს, დიდება შეიძინოს. სვანურსა და მეგრულ კილოში ხმათა ცვლილება, რაიცა თითქო ამ ენებს ქართულში გარეგნად არჩევდეს, უეჭველია, მომხდარა ადგილობრივის ბუნების გავლენით და თუ ისეთ ქართველს, რომელიც თავის დღეში არ ყოფილა ადგილობრივ, ეცოდინა, რომ ქართული ხმები, მაგ., ც, ღ, რ იგივეა, რაც მეგრული ჩ, რ, ჯ, მაშინ ისიც ადვილად მიხვდება, რომ მეგრული სიტყვები კოჩი, დვეჯი, წყარი იგივეა, რაც ქართული კაცი, დორი, წყალი. ეს მაგალითი ხელად მოვიტანეთ, თორემ საგნის დაახლოვებით გამოკვლევა ჩვენს აზრს ერთი ათასად დაამტკიცებს. სვანურისა და მეგრულის (ჭანურის) სიტყვების ძირები იგივ ქართული ძირებია და, თუ ქართულს არა ჰგავს, ისევე შემოტანილი უნდა იყოს, როგორც თვით ქართულშია არა ერთი უცხო სიტყვა. ამ კილოების სიტყვათა წარმოების, კანკლედობის და უღვლილების წესი ისეთივეა, როგორც ქართულში.

უცხო ადამიანი, რომელსაც არ შეუსწავლია ქართუს (ქართლის) ენა და მისი

*) იხ. «ივერი» ამ წლისა, № 45. „ნარკვევი“.

თავისუფალი იყოს ჭლექის შხამისაგან. მაგრამ მცოდნე ადამიანი რომ საქმეს დაუკვირდეს, დარწმუნდება, რომ აქ გასაკვირველი და დაუჯერებელი არა არისრა.

აქამდე არა გვქონდა ისეთი ნამდვილი საშუალება, რომლითაც შესაძლო ყოფილიყო გაგვეგო დარწმუნებით, აქვს ამა თუ იმ ადამიანს ჭლექი სხეულში თუ არა. ის საშუალება, რომლითაც აქამდე ვსარგებლობდით, იმდენად სუსტია, რომ მხოლოდ მაშინ გაგვაგებინებს ჭლექის ნიშნებს, როდესაც ეს სენი უკვე ძლიერ აქვს ადამიანს მორეული, თუ კი სხეული ოდნავ აქვს მოშხამული, ეს საშუალება ვერას გვამცნებს.

ახლა, ამ ბოლო წლებში, აღმოაჩინეს ისეთი საშუალებანი, რომლებითაც შესაძლოა გაგება, არა ორგანო არ გამოეპარება სხეულში, რაც გინდ მსუბუქად ჰქონდეს მოდებული ჭლექის ბაცილები.

ამგვარ საშუალებას ეკუთვნის კოხის «ტუბერკულინი».

მკითხველმა იცის, რა არის «ტუბერკულინი» კოხისა; ეს ისეთი კითხეა, რომელიც კოხმა ამ რამდენისამე წლის წინად გამოაქვეყნა, როგორც უებარი წამალი ჭლექისა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს «ტუბერკულინი» სრულებით უვარგისი გამოდგა და ამგვარად, ამ დიდებულ მეცნიერის ახლად აღმოჩენილ წამალს ისეთივე დღე დაადგა, როგორიც დასდგომია და ადგება მრავალ სხვა ჭლექის წინააღმდეგ მოგონილ წამალს.

მაგრამ, თუმცა ტუბერკულინმა თავისი პირდაპირი დანიშნულება ვერ გაამართლა, სამაგიეროდ მაინც საპატიო ადგილი დაიჭირა მედიცინაში ერთის ფრიად სასარგებლო თვისების წყალობით: თუ გსურთ გაიგოთ რომელისამე პირუტყვისა ან ადამიანის სისაღე ჭლექის მხრივ, თუნდ არავითარი ჩვეულებრივი ნიშნები არ ეტყობოდეს ჭლექისა, საკმარისია მხოლოდ ერთხელ, და ისიც ძლიერ ცოტა, შეუშხაპუნოთ კანს ქვეშ „ტუბერკულინის“ სითხე, რომ მაშინვე გამოიწვიოს ამ სითხემ სხეულში რეაქცია, თუ ოდნავ მაინც რომელიმე ორგანო მოწამლული აქვს ამ გამოსაცდელ ცხოველს ჭლექის ბაცილებით; ეს რეაქცია გამოიხატვის, სხვათა შორის, სიცხეთი, რომელსაც მისცემს შეშხაპუნების შემდეგ ცხოველს; თუ კი სხეული სრულებით საღია ჭლექისაგან, ვერავითარ რეაქციას ვერ შეამჩნევთ.

ავსტრიელმა ექიმმა Franz-მა სცადა «ტუბერკულინის» სითხე ავსტრიელ ჯარის კაცებზედ; რასაკვირველია, ყველამ იცის, რომ ჯარის კაცად ყველგან მხოლოდ საუკეთესო, ჯანსაღი ახალგაზდობა გაჰყავთ, ასე რომ ძლიერ ძნელი მოსალოდნელია, საზოგადოდ ჯარის-კაცთა შორის ჭლექიანები აღმოჩნდნენ, მით უმეტეს, რომ თუ ჯარის-კაცს ჭლექის ნიშნები აღმოაჩნდა, ან სრულებით ითხოვენ სამსახურიდან ან და ჰგზავნიან შინ დროებით ჰაერის გამოსაცვლელად და დასასვენებლად.

როდესაც Franz-მა დაუწყო «ტუბერკულინის» სითხით ცდა ჯარის-კაცებს, აღმოჩნდა, რომ 69% განსინჯულ ჯარისკაცებისა ჭლექით ყოფილიყო მოწამლული, თუმცა ჩვეულებრივის საშუალებით შეუძლებელი იყო ჭლექის ნიშნების აღმოჩენა მათ შორის.

ამას შემდეგ განა დაუჯერებელია Naegel-ის აზრი, რომ ყოველ ადამიანში, რომელიც ოცდაათ წელს გადასცილებია, შეგიძლიანთ ჰპოვოთ ჭლექის ნიშნები?!

ამასთან, ბერინგი იმასაც დასძენს, რომ ყველა ძუძუთა ბავშვი სრულებით საღია ჭლექის შხამისაგან; ოხთხმოცდა თექვსმეტ ბავშზედ სცადა «ტუბერკულინის» სითხე და ვერც ერთხელ ვერ აღმოაჩინა ჭლექის ნიშნები. ამ 96 ბავშვში ისეთებიც ერივნენ, რომლებიც ძლიერ სუსტის აგებულებისანი იყვნენ, ზოგიერთ მათგანს ჭლექიანი დედ-მამაც ჰყავდა, და მაინც სრულიად საღნი აღმოჩნდნენ.

ამგვარი აღმოჩენა ბერინგს ნებას აძლევს თითქმის სრულებით უარჰყოს ჭლექის მემკვიდრეობა და იმ აზრისაა, რომ ჭლექით ადამიანი შემდეგ იწამლება და დაბადებითვე თან არ დაჰყვებაო.

მართლაც, ძუძუთა ბავშვის სხეული საღია, ხოლო რამდენადაც ხანში შედიან ბავშვები, იმდენად უფრო ხშირია ჭლექის ნიშნების აღმოჩენა მათში და ოცდაათ წლამდე კიდევ უფრო და უფრო ხშირდება და მერე ხომ, როგორც ზემოდ ვსთქვით, თითქმის ყოველ ადამიანის სხეულშია ჭლექის ბაცილების კვალი.

მაშ, ადამიანი იწამლება ჭლექის ბაცილებით დაბადების შემდეგ და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვია, უფროს ერთ შემთხვევაში იწამლება მაშინ ძროხის რძით.

როდესაც ძროხა ჭლექით არის ავად, ძუძუებზე აჰრია მარგალიტის მსგავსი მუწუკები, რომლებშიაც ჭლექის ბაცილებია და მოწველის დროს ადვილად სცვივა რძეში; ასეთი მოწამლული რძე-კი სწამლავს ბავშვს, რომელიც იკვებება ამ რძით. სამწუხაროდ, დუღილი ყოველთვის როდი სპობს რძეში ჭლექის ბაცილებს, უფრო ხშირად ასუსტებს, მაგრამ როდესაც ეს დასუსტებული ბაცილები ჩააღწევს ნორჩ ბავშვის ნაწლევებს, იწყებს გაცოცხლებას, მრავლდება და სწამლავს ვენ სხეულს.

ამგვარი სხეულის მოწამლვა ჭლექის ბაცილებით შესაძლოა მხოლოდ ნორჩ ბავშვის სხეულში, დიდ ადამიანის ნაწლევებში-კი შეუძლებელია; დიდებს ასეთი რძე ვერას აკლებს, რადგან მოზრდილ ადამიანის ნაწლევების ლორწოიან გარს ისეთი თვისება აქვს, რომლითაც სრულებით ანადგურებს ჭლექის ბაცილებს, ხოლო ბავშვის ნაწლევების ლორწოიანი გარსი-კი ამ თვისებას მოკლებულია და, გარდა ამისა, ყოველ გვარი ბაცილები, მათ შორის ჭლექის ბაცილებიც, ადვილად გაატანს ბავშვის ლორწოიან გარსში და გადადის სისხლში. ამიტომ, ბერინგი იმ აზრს დაადგა, რომ უმეტესს შემთხვევაში ადამიანი იწამლება ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ძუძუთა ბავშვია, და იწამლება ძროხის რძით; შესაძლოა განვლოს 10—15 და მეტმა წელიწადმა, რომ ეს ჭლექით მოწამლვა ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩეს და მხოლოდ შემდეგ დაჰლეჭდეს, თუკი ცუდი გარემოება ცხოვრებისა ხელს შეუწყობს.

ამგვარის აზრისაა ბერინგი ჭლექის გავრცელების შესახებ. რაც შეეხება მის წინააღმდეგ ბრძოლას, სცდილობს მოიგონოს ისეთი რამ საშუალება, რომელიც წააგავდეს ყვავილის და ხუნაგის აცრას; ბერინგის სიტყვით, ეხლა ძროხა ისეთსავე ადგილს დაიჭერს, როგორიც უჭირავს ცხენს ხუნაგის აცრაში. ჭლექით ავადმყოფი ძროხა სწამლავს თავის რძით ბავშვს; იგივე ძროხა უნდა შეიქმნეს მხსნელი ჭლექიანისა. ხუნაგის ასაცრელ შრატს ხომ ამგვარად ამზადებენ: ცხენზე ნელ-ნელა აჩვევენ ხუნაგის შხამს, რომელსაც მისს სხეულში აჩენენ, შხამს თან-და-თან უმატებენ იქამდე, სანამ ცხენი სრულებით არ შეეჩვევა ამ შხამს და არ მოიპოვებს სრულს იმმუნიტეტს—მიუკარებლობას. მაშინ ამგვარად აცრილი ცხენის შრატი იძენს გამკურნავ თვისებას ხუნაგის წინააღმდეგ.

ბერინგის აზრით, ჭლექის ბაცილებით აცრილ ძროხის რძეს ისეთივე თვისება ექნება ძუძუთა ბავშვისთვის ჭლექის წინააღმდეგ, როგორიც აქვს აცრილ ცხენის შრატს ხუნაგის წინააღმდეგ.

აქვე დავუმატებთ, რომ ძროხის რძესა და მისს შრატს შორის თითქმის არავითარი, არსებითი განსხვავება არ არის.

ასეთის ძროხის რძით აღზრდილი ბავშვი შეიქმნება სრულებით საღი და ჭლექი შემდეგაც ველარას დააკლებს.

ექიმი ბადრიძე.

## ჩვენებური ამბები

**ქსნის-ხეობა.** ქსნის ხეობისთანა ჩამორჩენილი და მივიწყებული კუთხე სწავლა-განათლების მხრივ, მგონია არსად მოიპოვება.

შუაგულ ქსნის ხეობაში, ახალგორის სოფლის საზოგადოებაში, სულ უკანასკნელი, რვაასი კომლი მაინც იქნება, მაგრამ იმოდენა ხალხი უსწავლელობის გამო დიდ გასაჭირშია. უსწავლელობასა და უვიცობას თან მოსდევს სიღარიბე და დაბეჩავებაც. ჯერ არ აღმოსჩენია არც ერთი გულშემატკივარი, რომ იზრუნოს ხალხთა განათლებისათვის და ცოტათი მაინც გამოიყვანოს აქაურები უმეცრების წყვდიადისაგან.

აქ ლოთობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა. ხშირად ნახავთ გზებზედ მთვრალების სხუბსა, ამტვრევენ ერთმანეთს თავპირს. ჩვენი ჩარჩ-ვაჭარ სომხები წაგებაში არ არიან ამის გამო. ისინი ჩუმად იცინიან, რადგანაც უხარიანთ, რომ ამ წყლიან ღვინოში, რომელიც არა ღირს თუნგი სამი აბაზი, კალოობას ერთს კოდს წმინდა პურს იწყავენ და 3 მანეთად გაჰყიდიან. ასეც იქცევიან და გლეხების ოფლით მონაგარს ჩალის ფასად იღებენ და ჩვენებზედვე ასაღებენ მამასისხლად. ქსნის ხეობის მცხოვრებნი ძალიან შეძლებული ხალხი იქნებოდა, ჩარჩ-სომხებს რომ არ უყრიდნენ ხელში თავიანთ დოვლათს და ოფლით შეძენილ ქინახულს.

ქსნის მთებში ცხვრის პატრონები ძლიერ ბევრია, მაგრამ მათი მატყლი და ყველიც ახალ-გორის ჩარჩებს თითქმის უფასოდ მიაქვთ, აგრეთვე ერბო. ეს ყველაფერი, როგორც ზემოდ ვსთქვით, სრულის უმეცრების ბრალია, თორემ ცოდნა და სწავლა რომ ჰქონდეს უბრალო ხალხს, იმის შეგნებაც ექნებოდათ, რომ თვის ნაჭრნახულევს უკეთეს გზასაც მოუპოვებდა და თითონაც ადამიანურად იცხოვრებდა ქვეყანაზე. კარგს იზამდნენ ჩვენის ერის გულშემატკივარნი, მიაქცევდნენ ყურადღებას ქსნის ხეობას და გამოაღვიძებდნენ სილათას ძილით შეპყრობილს ხალხს, დაუარსებდნენ ისეთ სკოლას, რომელიც შეეფერებოდა ადგილობრივ მცხოვრებლების მოთხოვნილებას.

ხოსრო გზირიშვილი

—

**ქუთაისი.** 19 თებერვალს ქუთაისის მაზრის სამმართველოში დაბარებულ იყვნენ ხონის და სამტრედიის საბოქაულოს ახლად არჩეულნი სოფლის მოხელენი დასაფიცებლად და თანამდებობის მისაღებად. დაფიცების შემდეგ მაზრის უფროსმა თავადმა ჯ. თ. დადეშქელიანმა მიჰმართა ახალ მოხელეებს შემდეგის სიტყვით:

«მოგილოცავთ ყველას ახალ თანამდებობის მიღებას და ვისურვებ, რომ პატიოსნად, სინიდისიერად შეასრულებდეთ თვითოეულს თქვენგანს მთავრობის და საზოგადოების სამსახური. ნუ გეგონოთ, რომ თქვენის მოვალეობის შესრულება იმდენად რთული და გასაჭირი იყოს, ხოლო საჭიროა, რომ მუდამ სამართლიანად შეჰხედოთ საქმეს და ბოროტად არ იხმაროთ თქვენი უფლება. თანაუგრძნობით ხალხს, თქვენს მოძმეს, და ნურასოდეს ნუ შელახავთ მათ უხეირო და უმსგავსო გასამართლებით; მაშინ ხალხიც მადლიერი გეყოლებათ და მეც ვეცდები დავაფასო ჯეროვანად თქვენი სამსახური. დარწმუნებული იყავით, რომ მე ძლიერ მეჯავრება მოხელის დასჯა-დატუსაღება; მაგრამ, თუ რომელიმე თქვენგანი ხელს მიჰყოფს უსამართლობას, მექრთამეობას, ხალხის შევიწროებას, მთავრობის დაუმორჩილებლობას, მაშინ მეც იძულებული ვიქნები მივმართო უკიდურესობას და ცუდად მოგექცეთ. გაგიმარჯოსთ ყველას და სახელოვანად გაგეტარებინოთ ეს სამი წელიწადი.»

ყველანი მეტად ასიამოვნა ამ სიტყვებმა და ერთხმად მადლობა შესწირეს თავადს. შემდეგ მაზრის უფროსმა გამოუცხადა, რომ პირველ მარტიდგან ამა წლისა მოსპობილია ხანჯლების ტარება, დანებისის და ნება-დაურთველად ხმლის და რევოლვერისაც; ოჯახში კი ყველას შეუძლია იქონიოს თოფი, რევოლვერი და სხვა იარაღიც. თავადი დადეშქელიანი ხუთი წელიწადია, რაც ქუთაისის მაზრას უფროსად ბრძანდება. მან მალე დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა მთელს თავის მაზრაში: როგორც სოფლის, აგრეთვე მაზრის მოხელეებსაც და მთლად ხალხს, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, ძლიერ უყვართ, რადგანაც არის მეტად გულ-კეთილი, ყველასი თანამგრძნობელი, დამხმარე და მართლ-მსაჯული ადმინისტრატორი. ძვირად ნახავს კაცი გულმოსულს; ყოველთვის სახე მხიარული აქვს და მით აბედვინებს ყველას, მოახსენოს პირადად თვისი გაჭირვება. ვისურვებთ, რომ ასეთი კეთილი უფროსი დიდხანს შერჩენოდეს ჩვენს მაზრას.

ვლადო ბზვანელი.

—

**ქ. ოზურგეთი.** («ოზურგეთის თავის უფალ ეტლთა წარმოების» საზოგადო წლიური კრება). სანამ კრებაზე ვიტყოდეთ რასმე, საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს ეს ამხანაგობა. შეიძლება, სხვა ქვეყნის მკითხველთათვის არაფერი საინტერესო იყოს, მაგრამ გურიისთვის და საზოგადოდ გურიის მკითხველთათვის-კი საჭიროა იცოდეს ამ ამხანაგობის ავი და კარგი, რადგან მისთვის დიდად სასარგებლოა ამ ამხანაგობის მოქმედება.

ამხანაგობა დაარსებულია 1888 წელს და თუ რაიმე სარგებლობა მოუტანია რომელსამე ამხანაგობას ხალხისათვის, ეს ამხანაგობაც მათ შორის არის ჩასარიცხი. ყველამ იცის, რომ გაადვილებული მისვლა-მოსვლა ერთ ერთი უმთავრესი საჭიროებაა ცხოვრებაში და ხსენებულ ამხანაგობის აზრიც ის იყო და არის, რომ, რადგან თითქმის ნახევარზე მეტი გურიისა დაშორებულია რამდენისამე ვერსით რკინის გზის სადგურს, (ოზურგეთიდან რკინის გზის სადგურამდე 18 ვერსია), ხელ-მისაწვდომი ფასებით გაადვილებინა ხალხისათვის მისვლა-მოსვლა და ამ დიდის ხნის განმავლობაში სასურველად მოქმედებს კიდეც. ჰყავს რამდენიმე დილიჟანი-ეტლები, კარგი ცხენები, მისვლა-მოსვლა სწარმოებს ყოველთვის თავის დროზედ, წესიერად და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასად, როგორც რკინის გზის სადგურამდის, ისე გურიის ყველა სოფლებში. ამხანაგობას არასოდეს ზარალი არ უნახავს და ზოგჯერ ზედ-მეტი მოგებაც დარჩენია...

1900 წელს ამხანაგობამ იჯარით აიღო ოზურგეთის და სად. ნატანების შუა ფოსტის ტარება. იჯარის აღებას ბევრი ახალი ქონების შეძენა დასჭირდა, მაგალითად, ცხენებისა, ეტლებისა, დილიჟანებისა და სადგომებისა, ამასთანავე რამდენიმე თუმანი ბედ უნდა მიეტა ფოსტის მთავრობისათვის. მაშინ ამხანაგობას ფული არა ჰქონდა ხელში იჯარის ასაღებად, კერძო კაცთაგან ისესხა და აიღო იჯარა ერთ ახლურ გაჭრის შ. ვ. შავიშვილის სახელზედ, რადგან ამხანაგობა ოფიციალურად დამტკიცებული არ არის. აღებული ვალი უნდა გაესტუმრებინა ამხანაგობის წარმოების შემოსავალს, მაგრამ ეს ასე აღარ მოხდა, ამხანაგობას იმდენი მოგება აღარ დარჩა, რომ აღებული ვალი გაესტუმრებინა და ამნაირად დაედვა კარგი ძალი ვალი.

ამ შემთხვევამ უსიამოვნება გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ისე ამხანაგობის წევრთა შორის, გაიყვნენ ორ ჯგუფად ერთი, უფრო ძლიერი და რიცხვ-მრავალი დასი, ითხოულობდა ამხანაგობის ძველის გამგეობის გამოცვლას, ახალის არჩევას და საქმის სულ სხვაფრივ წარმოებას, რომ აშორებოდა ამხანაგობას მოულოდნელი ვალი.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამხანაგობის დავალიანება გამგეობის დაუდევრობას მიეწერებოდეს, ამავე გამგეობის ხელ-

---

კილოები, უთუოდ გაიფიქრებს, სვანი, მეგრელი (ჭანი) და ქართველი სხვა-დასხვა ენას ლაპარაკობენო და მამა ვოსტორგოვისა კი რადად უნდა გვიკვირდეს, მით უმეტეს, რომ იგი ამ განსხვავებას განგებ ეძებს, ამყარებს და არც უნდა, თითქო ღმერთი უწყენდეს, სვანს და მეგრელს ქართველი უწოდოს. ეგებ ასეთ საქციელს მაღალის მოსაზრებით ჩადიოდეს და სვანურ-მეგრულად ღვთის მსახურების გაჩენას ემსახურებოდეს, ვითარცა ღვთის სათნო საყოფელ საქმეს, დაიცვას წარწყმედისაგან სულნი სვანთა და მეგრელთანი, რომელთაც არა უწყიან, რასა იტყვიან, ანუ რასა ილოცვენ. მაგრამ ასეთი საცხონებელი ხომ წმინდა სისხლის რუსებიც არიან და მათ შორის თვითონ მამა ვოსტორგოვიც, სხვა სლავიანთა, მაგ., მალოროსების და სხვებისა რომ არა ვთქვათ რა, და რატომ რუსობას არ ურჩევს რუსულად ღვთის მსახურებას, ან თვითონ არა ჰსწირავს რუსულად? რუსული ხომ უფრო განვითარებულია, ვიდრე სვანური და მეგრული. მაგრამ არა. სლავიანური საღმრთო ენაა, ქრისტიანობა ამ ენით გავრცელებულა და მისი ანდერძიც ამ ენამ უნდა დაიცვას, თუმცა ცხოვრებისთვის ეს ენა მკვდარია და წმინდად ამ ენის მოლაპარაკე სლავიანობა დღეს აღარ არის. ქართული ენაც ასეთივე საღვთო ენაა ქართუს (ქართლის) თემთა ერობისათვის, როგორც სლავიანური სლავიანობისთვის, და ის უპირატესობაცა აქვს აგრეთვე, რომ ეს საღვთო ქართული კიდევ ცოცხალი ენაა და სალაპარაკო სრულიად ქართველობისთვის. ამას შემდეგ, თუ ღვთის მსახურებისთვის არჩევენ: რუსები სლავიანურს, რომაელთ ნატამალნი ფრანგნი, იტალიელნი და ესპანიელნი ლათინურს, რასაკვირველია, ქართუს თემთაც სვანებმა და მეგრელებმა არჩიონ ქართული ენა.

საქართველოში ქრისტიანობა (IV ს.) ქართულად ქადაგებით დაიწყო, ღვთის მსახურება ქართულად გავრცელდა (VI ს.) და ცეცხლის თაყვანის მცემელთაგან შერყეული ქრისტეს სარწმუნოება (IIV ს.) ქართველმა მქადაგებლებმა განამტკიცეს. მერე ვინ იყვნენ ასეთი საღვთო მოღვაწეობის მესვეურნი? სულ მეგრელთა წინაპრები, ჭანეთის მკვიდრნი, რომელთაც დღეს ეუბნებიან, ქართული ენა თქვენი ენა არ არისო. საქართველოში მოსული წმიდა ნინო ქრისტიანობის საქადაგებლად და 13 სირიელნი მამანი, წმიდა იოანე ზედაზნელი და სხვები ქრისტიანობის გასამტკიცებლად სულ კაბადოკიელები იყვნენ, ხოლო ძველი კაბადოკია ეთნოგრაფიულად, ე. ი. თემობით, ჭანეთი იყო, როგორც მოწმობს განსვენებული პროფესორი დ. ჩუბინაშვილი, და ჭანებსავე ძველად ბერძნები ეძახდნენ თეთრ სირიელებს, რომ გაერჩიათ ნამდვილ სირიელებში.

ეს სარწმუნოებრივი ერთობა სვანს მეგრელთა ქართუს ერთან იმ დროსვე ისტორიულიც იყო, რადგანაც სარწმუნოებასთან ერთად ამ თემთა შორის ჰყვაოდა მუდამ ქართული მწიგნობრობა და საზოგადოდ ქართული მოქალაქობრიობა, რომელიც მაშინაც-კი იყო ძალაში, როცა საქართველოში ერთ მთავრობის მაგიერ თავს იჩენდა მრავალმთავრობა, ე, ი. ერთის მეფის მაგიერ იჯდა რამდენიმე მეფე და რამდენიმე მთავარი ერთმანეთზე დამოუკიდებელი. მოყვრობა, ნათელ მირონობა, რომელიც მისვლა-მოსვლას მოჰსდევდა, ხშირი იყო და არის ეხლაც ქართუს თემთა შორის, სულ არაფერი რომ არ ვთქვათ, მაღალის წოდებისა, რომელიც არა თუ საზოგადოდ მათ შორის, არამედ აფხაზეთშიაც კი, სადაც მდაბიო ხალხი უცხო ტომისა იყო, წარმოადგენდა ქართველთა ერთ ოჯახობას, ქართულის კულტურის მატარებელს. ამიტომ, არა თუ სვანეთ-ეგრისის, არამედ აფხაზეთის კეთილ-შობილთაც ბუნებრივისა და ისტორიულის სიმართლის შელახვა იქმნება, რომ არ ალოცონ ქართულად.

ერთმანეთის დამჭირნეობა საქართველოს თემთა შორის თუ უწინ იყო, ეხლა, როცა მიმოსვლა ისე გაიაფდა, მეტი თუ არა, არც ნაკლებია. კარ-ჩაკეტილის ცხოვრებით ეს თემები სიკვდილს მოისპრაფებენ და რა-კი ამას გრძნობენ, ერთმანეთში არიან შერეული ზოგი სამუდამოდ ბინა-დადებული, ზოგიც დროებით მცხოვრები. ყველაზე უფრო-კი ცხოვრების ალღო აღებული აქვს მეგრელს, ამ უნიჭიერესს ქართველსა, რომელიც მოწოდებულია ქართუს (ქართლის) ერობას ქრისტიანობის ქადაგების შემდეგ ერთი კიდევ დიდი მოციქულობა გაუწიოს: მის თემთა ფერხულში გვერდით ამოიყენოს ჟამთა ვითარებისაგან მოწყვეტილი და გამაჰმადიანებული თანამოძმენი ჭანეთის მკვიდრნი, გაავრცელოს და ააყვაოს სრულიად ქართველთა შორის აღებ-მიცემობა და ასწავლოს ცხოვრებისათვის ბრძოლაში თავის გატანა.

კადნიერად ვიტყვით, სვანეთ-ეგრისის ეკკლესიებში კიდეც რომ მოსპონ ქართულად ღვთის მსახურება, ქართულის ენის სწავლა მით არავითარს განსაცდელში არ ჩავარდება, პირიქით, ვითარცა აკრძალული ხილი, მეტის მეტად გაუტკბებათ მცხოვრებლებს. სარწმუნოება კი შეერყევათ, რადგანაც მისი ბურჯია მხოლოდ ქართულად ღვთის მსახურება, თორემ ამას ისტორიაც კარგად მოწმობს. ზემოდაც ვთქვი, მეგრელები იგივ ჭანები არიანმეთქი. აი ამ ჭანეთის ერთი ნაწილი, რომელიც აწინდელს ლაზისტანს წარმოადგენს, ძველად ბერძნის სამღვდელოებას ექვემდებარებოდა, როგორც ბიზანტიის კეისრის საბრძანებელი. ეს სამღვდელოება კი, სრულიად ბერძნობის მოტრფიალე, მუდამ ჟამს ბერძნულად უწირავდა და ულოცავდა ჭანებსა, რომელთაც არ გაეგებოდათ არც ლოცვის შინაარსი, არც სახარების ჭეშმარიტება; აი ეს გარემოება იყო მიზეზიო,—ამბობს პროფესორი დ. ჩუბინაშვილი «ჭანეთის ანუ ლაზისტანის ეთნოგრაფიულ-ისტორიულ გამოკვლევაში»,—რომ ჭანებმა სულ ადვილად დაჰგმეს ქრისტიანობა და მიიღეს მაჰმედიანობა, როცა მათი ქვეყნის ბატონობა ბერძნებს წაართვეს ოსმალებმაო. მეორე ნაწილი კი ჭანეთისა, რომელსაც ეწოდა ეგრისი (ოდიში), დღესაც ქრისტიანია და მართლმადიდებლობა აქამომდე შეუბღალავად აქვს დაცული. რათაო,—იკითხავთ. იმათა, რომ ქრისტიანობას მის მკვიდრთა შორის უვლიდა და ინახავდა დედა-ენა და არა დედინაცვალი.

დავიჯეროთ, მამა ვოსტროგოვი მოწადინებული იყოს, სვანეთმა და ეგრისმა ქრისტიანობა დაჰკარგოს, უღალატოს ქრისტეს მოძღვრებას? არა, მაგრამ მისი მისწრაფება და ღონისძიება კი ამას გვაფიქრებინებს. ხოლო თუ ჰგონია, საქართველოს ამ თემთა შორის ქართულის ღვთის მსახურების მოსპობით ქართული ენა მოისპობაო, შემცდარი ბრძანებულა. სვანები და მეგრელები ქართულს ვერასოდეს ვერ მოწყდებიან, ვიდრე პირში სული უდგიათ, სარწმუნოებას კი, შეიძლება, მოწყდნენ და არც მათი ბრალი იქნება.

კლდია.

ში ამხანაგობას ბევრი მოგებაც უნახავს, ამ მოგებას-კი ხანდახან წაგებაც მოსდევს, რასაკვირველია..

შარშანდელმა საზოგადო კრებამ ძველი გამგეობა გამოსცვალა და ახალი აირჩია. იმავე კრებაზედ ბ-ნმა შავიშვილმა განაცხადა: «გიხოვთ განმათავისუფლოთ ფოსტის იჯარადრობისაგან და ამასთანავე ვალი, რომელიც ამხანაგობას მართებს ჩემი, გადამიხადოთ (ბ. შავიშვილმა თვისი საკუთარი ფულიც დახარჯა იჯარის საქმეზედ), და ის ვალები, რომელიც ავიღე სხვა-და-სხვა კაცებისაგან ამხანაგობის საჭიროებისათვის, დამიფარილეთო. მაგრამ ის პირობები, რომლითაც ბ. შავიშვილი განთავისუფლებას თხოულობდა, კრებამ შეუძლებლად დაინახა. შავიშვილი კრების წინადადებას არ დასთანხმდა და ამხანაგობის იჯარის საქმის წარმოება აღარ ჩააბარა კრების მიერ არჩეულს კაცს, რამაც გამოიწვია ერთი აყალ-მაყალი, და ამიტომ ერთ კრებაზე (შარშან სამჯერ იყო კრება) სრულიად საქმის გადაუწყვეტლივ წავრებმა დასტოვეს კრება და წავიდნენ.... ამნაირად გამგეობა ისევ ძველი დარჩა, ამ ერთის წლის განმავლობაში თავის ნებით აწარმოებდა საქმეს...

წელს ამხანაგობის კრება გამგეობის მიერ დანიშნული იყო 16 თებერვალს. განსახილველი საგნები იყო: განხილვა და დამტკიცება გასულ 1903 წლის ანგარიშისა, 2) განთავისუფლება ფოსტის იჯარადარის ვ. შავიშვილისა ფოსტის იჯარადრობისაგან მისი სესხის მიცემით და გარეშე ვალების მოცილებით, ახალ არჩეულ კაცზედ პირობის გადამტკიცებით; 3) არჩევა 5 სარევიზიო კომისიის წევრისა.

ამხანაგობის შემოსავალ-გასავალი, მოკლედ რომ ვსთქვათ, ეს არის: 1903 წ. ამხანაგობის უოველგვარი შემოსავალი ყოფილა—31,010 მ. 9? კ., გასავალი ამდენივე. უძრავ-მოძრავი ქონება აქვს 20,072 მ. 74 კ. ვალი 8466 მ. 10 კ. ვალის გამორიცხვით ამხანაგობას რჩება 11,606 მ. 64 კ. ქონება.

კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი დ. ცეცხლაძე. კრებამ ანგარიში 1903 წლისა მიიღო, ბ. შავიშვილის თხოვნის შესახებ აირჩია ერთი კაცი—ბ-ნი ვ. ს. ხუნდაძე, რომელსაც შავიშვილმა უნდა გადასცეს ფოსტის იჯარადრობა კანონიერად. ამასთანავე, ამოირჩია 7 კაცი, რომელსაც დაავალა ის ვალები, რომლებიც აუღია ბ. შავიშვილს ამხანაგობის საჭიროებისათვის თავის-თავზედ მიიღოს და შავიშვილი გაანთავისუფლოს ამ ვალებისაგან. ფული, რომელიც მართებს ამხანაგობას შავიშვილისა (300 მანეთამდეა), მისცეს მაშინ, როცა ის იჯარადრობას გადასცემს საზოგადოებისაგან არჩეულს კაცს, ხოლო სანამ ამის ნებას მიიღებდეს ბ. შავიშვილი მთავრობისაგან, იჯარის საქმის მწარმოებლად დანიშნოს ის, ვისაც თვით ენდობა, და ეს 7 კაცი, რომელიც საზოგადო კრებამ აირჩია, იმასთან ერთად აწარმოებს ამხანაგობას საქმეს, და ბ. შავიშვილს არაფერი არ ევალება, ე. ი. საზოგადო კრებამ ამ შვიდ კაცს მიანდო უოველივე საქმის წარმოება. კრების დადგენილებას ბ. ვ. შავიშვილი დასთანხმდა. კრებამ აირჩია ხუთი სარევიზიო კომისიის წევრიც.

ამნაირად, ამხანაგობის საქმე ჯერ-ჯერობით კეთილად დაბოლოვდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამხანაგობა ჩვეულებრივ კარგად წაიყვანს თავისს საქმეებს.

უსუფ-ალა.

## წერილი
### რედაქციის მიმართ

«ივერიის» № 35-ში არის ფელეტონად დაბეჭდილი საგულისხმიერო წერილი ე. გ.—უცხო სიტყვების ხმარება ქართულს ენაში—რომლითაც იგი მიგვიწვევს მკითხველთ სამუშაოდ, რათა ცნობაში იქმნეს მოუვანილი ჩვენ მამა-პაპათაგან ძვალადვე ნაანდერძევი ძვირფასი და მდიდარი ჩვენი სალექსიკონო საუნჯე. ამასთანავე აცხადებს, რომ საქმე წლეულობით დაიწყოს აღმოსავლეთ საქართველოდან და დიდი უურადღება მიექცეს ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთს, სადაც უფრო შეუცვლელად დაცული უნდა იყოს სიწმინდე ჩვენის ძველის ქართულის ენისაო. ამ საქმეში მონაწილეთ პატივცემული ავტორი აღუთქვამს შრომის საფასს და ჰპირდება გაუგზავნოს მომზადებული დავთარი რიგზედ სიტყვების ჩასაწერად. მე, როგორც დროთა ვითარებისა გამო გამგე სასულიერო უწყებისა, ორის ხეობისა—ფშავის და ხევსურეთისა —ჩემდა მონდობილის საქმისა გამო მაქვს დაახლოვებითი ცხოვრება ხსენებულ თემებთან, ვუცხადებ დიდს სურვილს ბ-ნ ე. გ. და მის მიერ დანიშნულს სარედაქციო კომისიას, მივიღო წილ'დი შრომა ხსენებულს სამპატიურს დაწყობილებაში ესასყიდლოდ, მხოლოდ გამომეგზავნოს ჩასაწერი დავთარი. *).

ფშავ-ხევსურეთის ბლ. ი. ხატიაშვილი.

### „ივერიის“ ფოსტა

ნ. წ-ს. თქვენი წერილი მალე დაიბეჭდება. თქვენი მოსაზრება მართალი არ არის, დროს ვუცდიდით მხოლოდ.

## დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მარტი.

**ბლაგოვეშჩენსკი.** როცა იაპონელნი ქალაქიდგან წავიდნენ, საკუთარის ადრესით მადლობა გამოუცხადეს სამხედრო გუბერნატორს მოწყალე და ჰუმანიურ მოპყრობისათვის გაჭირვებულსა და მძიმე დროსა.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგ.»). რუსეთის მთავრობამ საფრანგეთის წარმომადგენლის ხელით სეულში გადასცა იაპონიის წითელს ჯვარს 2 ათასი იენი, რომ ამით თვისი მადლობა გამოუცხადოს იმ ზრუნველობისა და მოვლისათვის, რომელიც აღმოუჩინეს ჩემულპოში რუსეთის დაჭრილ მეზღვაურთა.

**რიაზანი,** 1 მარტი. დილის 9 საათზე ჩქარის მატარებლით მოვიდა გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი. მისვლამდე სადგური ხალხით აივსო. მთავარსარდალმა მიიღო ხატები, რომელიც იმას მიართვეს ქალაქის თავმა, ცეცხლის მაქრობელმა საზოგადოებამ და ობლებმა, რომელნიც შრომის სახლში ცხოვრობენ. ყველამ ერთხმივ უსურვა გენერალს ბედნიერი მგზავრობა და გზა მშვიდობისა.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგ.»). სადამდეთ გამოცხადდა შედეგი სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერისა. ფორმოზადან და ზოგიერთ სხვა ოლქებიდან იაპონიას ამაზე ჯერ არა მიუღია-რა. მთელი ჯამი ფულისა, რომელზედაც იაპონიის ბანკში მოაწერეს ხელი, 452,235,625 იენია.

**ტიენ-ძინი,** 1 მარტი. («რეიტ. სააგ.»). თახსმად იმ დეპეშისა, რომელიც გუშინ, 7 საათზე პორტ-არტურში მიიტანეს და რომელიც დღეს მიღებულია, ხმები, ვითომ იაპონელებმა პორტ-არტური აიღესო, სრულიად უსაფუძვლოა.

2 მარტი.

**პეტერბურგი.** 1 მარტს დვთივ განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს პანაშვიდზე დაესწრნენ პეტროპავლეს ტაძარში: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავარი და დიდნი მთავრინანი.

დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის ჟილინსკისა, უმთავრესის შტაბის უფროსის სახელზე 29 თებერვლის თარიღით: «24 თებერვალს ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მდინარე ჩინჩანჩანთან აღმოაჩინა მტრის ოთხი სიმაგრე და ამ სიმაგრეების ცხენოსანი ყარაული. პაკჩენიან ხუთი იაპონელი მზვერავი ჩაუვარდა ხელში ჩვენს მზვერავებს; მტერი გაიფანტა, იმათგან ერთი კაცი იქმნა მოკლული. მზვერავთა კვალზე ვიპოვნეთ რამდენიმე პატრონს, პაროქსილინის ხმლები და საბნები.—კორეის ჯარის უფროსმა ი-ჩჟუში დაჰყარა იარაღი და დაითხოვა ჯარის-კაცნი, დაიტოვა თავისთან მხოლოდ ოცი კაცი.—მანჯურიაში მშვიდობიანობაა.—ღამით, 27 თებერვალს, მტრის გემებმა გაასთეს ედნეს ნავთ-სადგური და სენიუნის პირდაპირ მდებარე ნაპირი. როგორც აღმოჩნდა, იაპონელებს გენზანის ჩრდილოეთით არ გადაუსხამს ჯარები. მდინარე ტუმან-ულას დაუდლება მცხოვრებნი ჩვენსკენ არიან.

**თავრიზი.** 26 თებერვალს თეგერანში წავიდა სპარსეთის ტახტის მემკვიდრე. ადერბეიჯანის პროვინციის საქმეთა გამგეობა მიენდო გუბერნატორს ამირ-ნიზამს. ხმები დადის, რომ უწესოება მოხდებაო.

**ვენა.** გერმანიის კრონ-პრინცი ავსტრიის საიმპერატორო ადლუმებს დაესწრება.

**პარიჟი.** რუსეთის ჯარების მოქმედების დროს დასასწრებლად დანიშნეს მე-12 ქვეითა ბრიგადის უფროსი გენერალი სილვესტრი, უფროსი არტილერიის ესკადრონისა შემინონი და კაპიტანი ბუსელი; იაპონიის ჯარში დასასწრებლად დანიშნულნი არიან: პოლკოვნიკი ლონარი, რომელიც ეხლა ტიანძინშია, ტოკიოში მყოფი სამხედრო აგენტი პოლპოლკოვნიკი კორვიზარი და არტილერიაში ჩარიცხული პეიერი, რომელიც ეხლა სეულშია.

*) დავთარს მოვამზადებთ და გამოგი გზავნით წევ. კომ. გრ. ყ—ძე.

2 მარტი.

**პეტერბურგი.** ერევნის ვიცე-გუბერნატორი თავადი ნაკაშიძე დაინიშნა ბაქოს გუბერნატორად. — მინსკის ვიცე-გუბერნატორი კამერ-იუნკერი ველიამინოვი დაინიშნა სტავროპოლის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

**პორტ-არტური.** 2 მარტი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). პორტ არტურის მიდამოებში მშვიდობიანობაა. ხმელეთის ჯარისა არა ისმის-რა. ეტყობა, ჯერ-ჯერობით მტერსა ზვერავენ.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგ.»). ადმირალ ალექსეევის მოხსენებას, ვითომ პორტ-არტურს მეოთხედ რომ დაუშინეს ზარბაზნები, დაიღუპა იაპონიის ნაღმიანი გემი და ძალზედ დაზიანდა კრეისერი «ტაკასაგო»-ო, ოფიციალურად შეცდომად სთვლიან. დაზიანებულ ნაღმიან გემებს სულ ერთის კვირის განმავლობაში შეაკეთებენ.

**ბერლინი.** პორტ-არტურის ბოლონდელ იერიშის დროს ნამდვილად დაიღუპა იაპონიის ერთი გემი.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

### პეტერბურგის ბირჟა
27 თებერვალი 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,70 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,27½ |
| პარიჟში „ . . . . . . | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . | 6—7½%. |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 93⅛ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ. მამულთ ბანკისა . . . . | 90½ ნის. გ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 354 წვრ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 311 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | 250½ წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . | — |

### რკინის გზის მიმოსვლა.
15 ოქტომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (მოსკოვს მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


## განცხადებანი

### ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება მუშტარს უფასოთ. (10—8)




მოითხოვეთ ყველგან ნაძვილი
„ოლიმპიი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
**გულივერის მოგზაურობა**
სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
**საავადმყოფო ... სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქაჯანა**
2.
**ალი**
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

ს.-პეტერბურგის კომპანია
**„ნადეჟდა“**
ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| მირითადი თანხა . . . . | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა . . . . | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთის ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—ნ.—21)

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

**წიგნის მაღაზია „ცოდნა-“ს**

გ ა მ ო ც ე მ ა.

| | |
|---|---|
| **გრიგოლ ორბელიანის ლექსები** სურათით . . | 20 კ. |
| **წმინდა გიორგის რაზმი** . . . . | 5 „ |
| **სამეგრელოს სერო სკოლები** ლოლუასი | 5 „ |
| ჩვენი გამოცემანი. | |
| **სიმღერა** აკაკისა . . . . . | 15 „ |
| **თამარ მეფე** . . . . . | 5 „ |
| **ვაჭრული ჭკუა** . . . . . | 5 „ |
| **დათუნა გოცირიძე** და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა | 5 „ |
| **პატარა ჩონგური** ლექსები (დედა-ენა) . . . | 5 „ |
| **ოქროა** (ხალხური ზღაპარი) . . . . | 5 „ |
| **ორი ქოსატყუილა** / **ბიჭია მენახვირე** / **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი . . . | 10 „ |
| **აბრამის და იობის ლექსი** . . . . | 3 „ |
| **სურათი თამარ მეფისა** . . . . | 5 „ |
| **კულტურა** ლიპერტისა . . . . | 50 „ |
| **ლექსიკონი** რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა . . | 50 „ |

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.

ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»
მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
**სტამბა**
ექვთიმე ივ. ხელაძის,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს აწ ვ დ ო მ ი ა.